საკრებულოს იურიდიულ

საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი №12

24.12.2025 წ

ქ. თერჯოლა

ან. ჭანტურიძის ქ.№7

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის უხუცესი წევრი **გიორგი ბარათაშვილი.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ლაშა ლანჩავა 2. ნინო ოქრუაძე 3. გიორგი ყაზაიშვილი 4. გიორგი ბარათაშვილი 5. ჯემალ ისაკაძე 6. გიორგი თურქაძე 7. ეკა ბერძენიშვილი 8.ერეკლე კირკიტაძე 9. იუზა უგრეხელიძე

სხდომას არ ესწრებოდა: ბიძინა ბუცხრიკიძე, ვლადიმერ მაკარიძე

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში - ფიქრია ბუსკივაძე.

კომისიის სიითი შემადგენლობა: 11 წევრი

კვორუმი: 6 წევრი

დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 9

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად</u>

სხდომის უხუცესმა წევრმა - გიორგი ბარათაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

3. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 9, წინააღმდეგი - არცერთი

<u>დღის წერიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.</u>

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>

1. მოისმინეს: მომხსენებელმა - იურიდიულ საკითხთა კომისიის უხუცესმა წევრმა - გიორგი ბარათაშვილმა კომისიის სხდომას დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები გააცნო. პირველ საკითხად განხილულ იქნა: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" დადგენილება. მომხსენებლის განმარტებით, საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მერვე თავის 24-ე მუხლი შესაბამისად, 2026 წლის 01 იანვრიდან დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1600 ლარის ოდენობით. აღნიშნულის გათვალიწინებითა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 23 დეკემბრის №28-282535783 წერილის შესაბამისად, ცვლილების განხორციელებას საჭიროებს ,,მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ დადგენილება. კერძოდ, მერიის თანამდებობის პირთა და მერიაში დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა ხელფასი იზრდება 10%-მდე.

მომხსენებელმა კომისიის წევრებთან ერთად ასევე, იმსჯელა დანარჩენ ორი საკითხთან დაკავშირებითაც და განმარტა, რომ ზემოთ აღნიშნული მიზეზითა და სამათლებრივი

საფუძვლით, ცვლილება უნდა განხოციელდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოების, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №19 და ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილებებშიც. აქედან გამომდინარე, საკრებულოს თანამდებობს პირი წევრებისა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობაც იზრდება 10%-მდე.

რაც შეეხება თანამდებობაზე არ მყოფ საკრებულოს წევრებს, რომლებიც ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 41-ე მუხლის თანახმად, თავისი უფლებამოსილების განხორციელებასთნ დაკავშირებით იღებენ მხოლოდ ხარჯებს, საკრებულოს თავჯდომარის თანამდებობრვი სარგოს მატების გათვალისწინებით მიიღებენ ხარჯების გაზრდილ ოდენობას, რაც შეადგენს 984 ლარს.

აღნიშნული დადგენილებების პროექტთან დაკავშირებით:

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ დადგენილების პროექტებს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 9, წინააღმდეგი: არცერთი

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. დღის წესრიგით გათვალისწინებული სამივე საკითხი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

3. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების

ანაზღაურების წესის შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დასამტკიცებლად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას.

იურიდიულ საკითხთა კომისიის

უხუცესი წევრი გიორგი ბარათაშვილი